სსიპ კოლეჯ მერმისის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება „ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი

წევრები:

დავით ხუციშვილი

ვალერი ჯაჯანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: -სსიპ კოლეჯი მერმისი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: -საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 209467646

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 16.07.2026 წლის №939648 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯ მერმისში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების“ “ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 29 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯ მერმისში (მის: ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის ჩიხი 9ა.). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. განხორციელდა ვიზიტები პრაქტიკის ობიექტზე. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1 3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (31.12.2021 N04-446, ცვლილება 27.10.2025 N1414682) პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნაა: ა) უმაღლესი/პროფესიული/ზოგადი განათლება; ბ)სასურველია კანდიდატს ჰქონდეს მინიმუმ ერთ წლიანი სამუშაო გამოცდილება შესაბამისი დარგობრივი პროფილით ან/და პედაგოგიური მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო თითოეული განმახორციელებელი პირის პირად საქმეს. ყველა მათგანს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან /და დარგში მუშაობის მრავალწიანი გამოცდილება. შესაბაისად, ზემოაღნიშნული მოთხოვნა პრაქტიკაში არ იკვეთება. დაწესებულება ფაქტობრივად უფრო მაღალ სტანდარტს იყენებს, ვიდრე ეს მარეგულირებელ დოკუმენტშია ასახული. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევისას ეყრდნობიან კანდიდატის განათლებას, დარგობრივი მიმართიებით, ან სამუშო გამოცდილებას.

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, დოკუმენტში განსაზღვრული ფორმულირება – „სასურველია“ ჩანაცვლდეს სავალდებულო მოთხოვნით, რათა მარეგულირებელი დოკუმენტი სრულად ასახავდეს დაწესებულებაში დამკვიდრებულ პრაქტიკას და უზრუნველყოფდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის პროცესის ერთგვაროვნებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 7. დაწესებულებას პროგრამის რენტაბელობის ზღვარი დათვლილი აქვს 4 პროფესიულ სტუდენტზე, იმ კოეფიციენტის გათვალისწინებით, რომელსაც ადგენს მთავრობის 244-ე დადგენილება. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კოლეჯს არც ერთ მიღებაზე არ ჰყოლია მხოლოდ 4 პროფესიული სტუდენტი და აღნიშნული რაოდენობა განსაზღვრულია მხოლოდ თეორიული მინიმუმის სახით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ კოლეჯს არც ერთი მიღების ფარგლებში არ ჰყოლია 10-ზე ნაკლები პროფესიული სტუდენტი, რაც მიუთითებს, რომ პროგრამის განხორციელების პრაქტიკული გამოცდილების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება განსაზღვრულ რენტაბელობის ზღვარს. ამასთან, რენტაბელობის ზღვარი წარმოადგენს იმ მინიმალურ რაოდენობას, რომლის პირობებშიც პროგრამის განხორციელება ფინანსურად მიზანშეწონილია. შესაბამისად, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი უნდა იყოს აგებული სწორედ ამ მინიმალურ რაოდენობაზე და ასახავდეს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას იმ შემთხვევაშიც, თუ ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა მხოლოდ რენტაბელობის ზღვარს გაუტოლდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენისას რენტაბელობის ზღვარი განსაზღვროს იმ რაოდენობის საფუძველზე, რომელიც რეალურად წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ფინანსურ მინიმუმს, რათა ბიუჯეტი ობიექტურად ასახავდეს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

2.4.1.1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად მექანიზმებს, თუმცა კალენდარული გეგმის შედგენისა და შეთანხმების პროცედურები ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს უშუალოდ სასწავლო პროცესის დაგეგმვის კომპონენტს, შესაბამისად, მიზანშეწონილია მისი რეგულირება მოხდეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის ფარგლებში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი პროცედურების ერთიან დოკუმენტში თავმოყრა. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია , სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ასახოს კალენდარული გეგმის შედგენისა და შეთანხმების პროცედურები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნულია, რომ კოლეჯი ეთანხმება დასკვნის პროექტში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს და სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტები, სადაც გათვალისიწნებული აქვს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 23.06.2026 წ. №782671 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	56
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	71

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ თვითშეფასების ფორმაში არსებული მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი გვაძლევს სრულ სურათს პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის კვლევების, მათ შორის ,,საქსტატის“, ,,შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს“, ,,ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს“ ანალიზი და საქართველოში არსებული დასაქმების ვებ-გვერდებზე განთავსებული ვაკანსიების სტატისტიკური ინფორმაციის მოკვლევის შედეგები. კოლეჯს აქვს მსგავსი დასახელების პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი პრაქტიკა, მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილში წარმოდგენილია 2019 წლიდან მოყოლებული მსგავსი დასახელების პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა, შედეგად ირკვევა, რომ მოთხოვნა წარმოდგენილ პროფესიულ პროგრამაზე მინიმუმ 2-ჯერ აღემატება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვაკანტური ადგილების რაოდენობას. მილევად რეჟიმში მყოფი მსგავსი დასახელების პროგრამის შემთხვევაში მოყვანილია 2022 წლის კურსდამთავრებულთა კვლევა, რომლის შედეგად გამოვლინდა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 75 %-ს, ხოლო 2024 წლის მონაცემებით, რომელიც მიზნად ისახავდა 2023 წლის მიღების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების კვლევას, დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 67%-ს. კოლეჯის ინფორმაციით, 2024 წლის მიღების ჯგუფის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კი 67% - ია.

პსდ-ს გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება" განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, კერძოდ დაწესებულების მისიაა კოლეჯის მისიაა ტურიზმის, ბიზნესის ადმინისტრირების, ხელოვნების, ინჟინერიის და წარმოების სფეროების პროგრამებით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში ადგილობრივი და ევროპული შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების გზით, სოციალური ინკლუზიის ჩართულობით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით. კოლეჯის გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და განხორციელების შესახებ ეფუძნება პსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ სტრატეგიულ მიზანს, რაც თავის მხრივ განმტკიცებულია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება" დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და წარმოადგენს საბაზო განათლებას რაც სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის წესი, სადაც გაწერილია აპლიკანტთა შერჩევისა და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები, აღნიშნული წესი შესაბამისია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებისა და უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

სსიპ კოლეჯში ,,მერმისი" მოქმედებს დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც გაწერილია დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 20 ივლისის №04-357 ბრძანებით (ცვლილება, 11.11.20219 წ. ბრძ. №04-142) დამტკიცებულ დოკუმენტში ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი". წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განისაზღვრება პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის გათვალისწინებით საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსი, სასწავლო გარემოთა ტიპი და ოდენობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 40 პროფესიული სტუდენტი. პსდ-ს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს ერთი სალექციო აუდიტორია - A გარემო, 20 პროფესიულ სტუდენტზე და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო - C გარემო შესაბამისი ინვენტარით 20 პროფესიულ სტუდენტზე. ასევე დაწესებულების საკუთრებაშია დამატებით ერთი A გარემო, რომელიც ტერიტორიულად ემიჯნება C სასწავლო გარემოს - სასწავლო სახელოსნოს. მისი გამოყენება შესაძლებელია, როგორც დამოუკიდებელი სალექციო აუდიტორია - A გარემო, ასევე შერეული ტიპის AC სასწავლო გარემოდ, იმისდა მიხედვით თუ რა საჭიროება გაჩნდება სასწავლო პროცესიდან გამომდინარე. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება" ერთ მიღებაზე იგეგმება 20 პროფესიული სტუდენტის მიღება.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მოცემული პროგრამის განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსის მინიმალური სარეკომენდაციო ნუსხა, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება" არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილი პირი განისაზღვრება კოლეჯის ,,მერმისი“ 2020 წლის 10 თებერვლის # 04-44 ბრძანებით (ცვლილება, 21.06.2021 წ. ბრძ. #04-220) დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი". საფუძველზე და შესაბამისად აღნიშნული უფლებამოსილება აქვს კოლეჯის დირექტორს.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 23.06.2026 წ. №782671 ბრძანებით.

ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

კოლეჯის ,,მერმისი” მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, რომელიც გამომდინარეობს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებიდან, აღნიშნული სახელწოდება სრულად მოდის შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან, შესაბამისად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ დამუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ საფუძველზე.

წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის ,,მერმისი" მისია;
- სსიპ კოლეჯის ,,მერმისი" სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- განაცხადის დანართის სახით წარმოდგენილიპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება" მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- კოლეჯის ,,მერმისი" დირექტორის ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება" დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით. კოლეჯი მსგავსი დასახელების პროგრამაზე ახორციელებდა მიღებას 20 ვაკანტურ ადგილზე, ხოლო გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯი გააგრძელებს აღნიშნულ პრაქტიკას - ,,ერთ მიღებაზე 20 სტუდენტი“. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა გარემო, გაეცნო დოკუმენტაციას და გაესაუბრა პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებს. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მიერ პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი A, და C სასწავლო გარემოში არსებული მატერიალური რესურსის შესაბამისობა - A სასწავლო გარემო აღჭურვილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარით (მაგიდა და სკამი), მასწავლებლის მაგიდით, სკამით, კომპიუტერით და დემონსტრირების ციფრული საშუალებით. რამდენადაც წარმოდგენილი პროგრამა განხორციელდება იმიტაციურ სასწავლო გარემოში, უაღრესად მნიშვნელოვანია C სასწავლო გარემოში არსებული აღჭურვილობის შესაბამისობა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ C სასწავლო გარემოს შეფასებისას დადგინდა, რომ სასწავლო გარემოს აღჭურვილობა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით და მისი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, C სასწავლო გარემოში წარმოდგენილია მსუბუქი ავტომობილი სასწავლო დანიშნულებით, ძრავას ამოსაღები საშუალებები, ძრავას სადიაგნოსტიკო კომპრესომეტრები, იარაღებისა და სამარჯვების კომპლექტები, ავტომობილის ორპორტიანი ამწეები, და დანართით განსაზღვრული სხვა დამხმარე მოწყობილობა და ინვენტარი.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი აქედან 5 ზოგადი მოდულისთვის, მათ შორის ქართული ენის მოდულისთვის, 9 პროფესიული მოდულებისთვის,. ვიზიტის დროს გადამოწმდა მათთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებების/შეთანხმებების არსებობა და მისი შესაბამისობა კანონმდებლობის ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პერსონალი შეძლებს გაუძღვეს, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველ მოდულებს. შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოდულის განმახორციელებელის ჩანაცვლება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლით.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

.ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება " განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, და დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ, პრფესიული საგანმანათებლო სტანდარტის გადამუშავებაში, ასევე კოლეჯში მოდულების ადაპტირების პროცესში, მათ გავლილი აქვთ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები" (31.12.2021 N04-446, ცვლილება 27.10.2025 N1414682) პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნაა: ა) უმაღლესი/პროფესიული/ზოგადი განათლება; ბ)სასურველია კანდიდატს ჰქონდეს მინიმუმ ერთ წლიანი სამუშაო გამოცდილება შესაბამისი დარგობრივი პროფილით ან/და პედაგოგიური მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო თითოეული განმახორციელებელი პირის პირად საქმეს. ყველა მათგანს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან /და დარგში მუშაობის მრავალწიანი გამოცდილება. შესაბაისად, ზემოაღნიშნული მოთხოვნა პრაქტიკაში არ იკვეთება. დაწესებულება ფაქტობრივად უფრო მაღალ სტანდარტს იყენებს, ვიდრე ეს მარეგულირებელ დოკუმენტშია ასახული. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევისას ეყრდნობიან კანდიდატის განათლებას, დარგობრივი მიმართიებით, ან სამუშო გამოცდილებას.

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, დოკუმენტში განსაზღვრული ფორმულირება – „სასურველია" ჩანაცვლდეს სავალდებულო მოთხოვნით, რათა მარეგულირებელი დოკუმენტი სრულად ასახავდეს დაწესებულებაში დამკვიდრებულ პრაქტიკას და უზრუნველყოფდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის პროცესის ერთგვაროვნებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით, მასთან გასაუბრებით დადგინდა მისი მზაობა პროგრამას უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“ შესაბამისად. ექსპერტების პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის მოდიფიცირებისა და განხორციელების პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუდმივად წარმოებს ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალის შევსება. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებისას ადგილზე აღმოჩნდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი მოძიებადია და შეესაბამება მოდულში გაწერილ თემატიკას.

აღსანიშნავია, რომ გარდა მოდულით განსაზღვრული სასწავლო რესურსისა, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პროცესში აუცილებელია გამოყენებულ იქნას კონკრეტული ავტომობილის/ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელო, რომელიც გამოცემულია ქარხანა-დამამზადებლის, ან სხვა გამომცემლის მიერ, შესაძლებელია აღნიშნული ინფორმაცია პროგრამული უზრუნველყოფის სახითაც იყოს წარმოდგენილი. დაწესებულებამ წარმოადგინა მის საკუთრებაში არსებული სასწავლო დანიშნულების მქონე ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოები, რაც გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში, ასევე დამატებით იქნა წარმოდგენილი ევროპული აზიური და ამერიკული ავტომწარმოებლების თანამედროვე მოდელების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოები.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 12 ნოემბრის N04 – 145 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები, რომლითაც რეგულირდება სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც მოხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. საჭიროების შემთხვევაში მოხდება საგანმანათლებლო რესურსის ადაპტირება, რომელიც მორგებული იქნება სსსმ პირზე, კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა.

ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯს პროგრამაზე ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება" დამუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის სავარაუდო შემ.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში შემოსავლის წყაროდ განსაზღვრულია ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება;
- მასალა-ნედლეულის ხარჯი;
- დიპლომების, დანართების და სტუდენტთა ბარათების დამზადების ხარჯი;
- სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას პროგრამის რენტაბელობის ზღვარი დათვლილი აქვს 4 პროფესიულ სტუდენტზე, იმ კოეფიციენტის გათვალისწინებით, რომელსაც ადგენს მთავრობის 244-ე დადგენილება. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კოლეჯს არც ერთ მიღებაზე არ ჰყოლია მხოლოდ 4 პროფესიული სტუდენტი და აღნიშნული რაოდენობა განსაზღვრულია მხოლოდ თეორიული მინიმუმის სახით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ კოლეჯს არც ერთი მიღების ფარგლებში არ ჰყოლია 10-ზე ნაკლები პროფესიული სტუდენტი, რაც მიუთითებს, რომ პროგრამის განხორციელების პრაქტიკული გამოცდილების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება განსაზღვრულ რენტაბელობის ზღვარს. ამასთან, რენტაბელობის ზღვარი წარმოადგენს იმ მინიმალურ რაოდენობას, რომლის პირობებშიც პროგრამის განხორციელება ფინანსურად მიზანშეწონილია. შესაბამისად, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი უნდა იყოს აგებული სწორედ ამ მინიმალურ რაოდენობაზე და ასახავდეს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას იმ შემთხვევაშიც, თუ ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა მხოლოდ რენტაბელობის ზღვარს გაუტოლდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენისას რენტაბელობის ზღვარი განსაზღვროს იმ რაოდენობის საფუძველზე, რომელიც რეალურად წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ფინანსურ მინიმუმს, რათა ბიუჯეტი ობიექტურად ასახავდეს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის ,,მერმისი" მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება" განსახორციელებლად საჭირო A და C გარემოს ვიზუალური დათვალიერება და აღჭურვილობის ჩამონათვალი;
- ინტერვიუ შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული შეთანხმება;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- კოლეჯის ,,მერმისი" დირექტორის ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას. კოლჯში პროგრამის შეფასებას ახდენს ხარისხის მართვის მენეჯერი. პროგრამის შეფასება ხდება სხვადასხვა კომპონენტებისა და ინდიკატორების საფუძველზე. პროგრამის შეფასების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების მიღწევის შემდგომი სრულყოფის მიზნით. პროგრამის შეფასებაში სპეციალური კითხვარების შევსების მეთოდით მონაწილეობენ პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და კურსდამთავრებულები. აღნიშნული დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე .პროგრამების განვითარების კუთხით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ, შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. აღნიშნული გარემოება დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა დადაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ;*
- *გასაუბრება*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ განაცხადის დანართებში წარმოდგენილია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმებით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მოქმედი (მილევადი სტატუსის მქონე) პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილი კალენდარული გეგმების შესაბამისობის შემოწმება და დადგინდა, რომ კალენდარული გეგმები სასწავლო გეგმაში გაწერილი თარიღების შესაბამისია, მოიცავს მოდულით განსაზღვრულ თემატიკას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად მექანიზმებს, თუმცა კალენდარული გეგმის შედგენისა და შეთანხმების პროცედურები ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს უშუალოდ სასწავლო პროცესის დაგეგმვის კომპონენტს, შესაბამისად, მიზანშეწონილია მისი რეგულირება მოხდეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის ფარგლებში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი პროცედურების ერთიან დოკუმენტში თავმოყრა. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია , სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ასახოს კალენდარული გეგმის შედგენისა და შეთანხმების პროცედურები.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

.კოლეჯის მარეგულირებელი აქტებით გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიცმორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. დოკუმენტები არეგულირებენ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. დაწესებულება მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებს პროფესიულ სტუდენტებს ისეთი საკითხების გადაჭრაში, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დამატებითი მეცადინეობის ან/და კონსულტაციის ჩატარება, განმეორებითი შეფასება და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

პროგრამა აღჭურვილია სწავლის შედეგის მიღწევისთვის საჭირო ყველა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიებით. უმეტესად ესაა ავტომობილის სადიაგნოსტიკო თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, რომელიც გამოიყენება მსუბუქი ავტომობილის ძრავას ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის პროცესში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. სწავლების მეთოდები აღწერილია მოდულებში. სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ტექნოლოგიები თანამედროვეა და სრულად უზრუნველყოფს შესასწავლი მასალის სტუდენტისათვის მიწოდების სიმარტივეს, გარდა ამისა სტუდენტებს აქვთ საშუალება ავტომობილის აღწერილობითი მოდულების სწავლებისას დეტალურად გაეცნონ თანამედროვე ავტომობილის ძრავას სისტემებისა და კვანძების მოწყობილობას, მუშაობის პრინციპებსა და თავისებურებებს, პრაქტიკული მოდულების განხორციელების პროცესში სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ ავტომობილის ძრავას - მისი მექანიზმებისა და სისტემების დიაგნოსტიკისა და შეკეთებისათვის აუცილებელ საშუალებებზე, შესაბამისად მოცემული პროგრამის განხორციელების პროცესში კოლეჯი სრულად იყენებს სწავლებისა და სფეროს უახლეს მიღწევებს. პროფესიულ მასწავლებლებს პირადი საქმეებისა და გასაუბრების საფუძველზე უდასტურდებათ დარგობრივ და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებულ ტრენინგებზე დასწრება.

ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაეწრილი სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა/წარმომადგენლების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.

ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ სსიპ კოლეჯის ,,მერმისი” მიერ განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ სალექციო მეცადინეობები ჩატარდება A სასწავლო გარემოში, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს მის საკუთრებაში არსებული C სასწავლო გარემო შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური რესურსით, ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. C გარემოში მოთავსებულია პირველადი სამედიცინოო დახმარების ყუთი, ცეცხლმაქრი. გამოკრულია მუშაობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები, ძალური დანადგარები (ამწეები, ჩარხები და ა.შ.) აღჭურვილია უსაფრთხოდ ექსპლუატაციის პიქტოგრამებით. დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო, კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები.

ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო გეგმა/გეგმები;
- კალენდარული გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ პაკეტი;
- სივრცეების ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.დაწესებულებაში დანრეგილია პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებულია შედეგების დადასტურების, გასაჩივრების, განმეორებით შეფასებაზე გასვლის, შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების პროცედურები, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი და პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებული არიან გააცნონ პროფესიულ სტუდენტს შეფასების სისტემა.შეფასების პროცესამდე 10 სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს. დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარის შემოწმებას, შესაბამისი მიმართულების სპეციალისტის ჩართულობით. შეფასების ინსტრუმენტის ავტორი ან/და შემფასებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი არ შეიძლება იყოს ამავე ინსტრუმენტის ვალიდატორი. წესის მიხედვით დაწესებულება ასევე ახდენს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების შედეგების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი მასალებით დადგინდა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი უძღვება შეფასების პროცესის ვერიფიკაციის პროცესს. ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილი, ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იქნეს ჩართული პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან რაიმე სახით მონაწილეობდა მის შექმნაში. ვერიფიკაცია ტარდება შერჩევითობის პრინციპით, ხოლო შედეგები აისახება დასკვნაში. საჭიროების შემთხვევაში გაიცემა რეკომენდაციები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესიში გაწერილია შეფასების მტკიცებულებების შენახვის და შემდგომ განადგურების მექანიზმი. სადაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. აღნიშნულ დოკუმენტში მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია სტანდარტის შესაბამისად 3 წელი, რომლის მიხედვითაც კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მტკიცებულებები გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პერიოდულად იხილავენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რომელიც გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, პროფესიული სტუდენტები ღებულობენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები, შედეგების განხილვა პროფესიული მასწავლებლის მიერ ხორციელდება განზოგადოებულად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
ვიზიტის დღის წესრიგი
19.08.2026წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: